| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასაკვეთისათვის შესასვლელს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—17)


ამ მომავალს კვირას, საღამო ლოცვის შემდგომ, მეხუთე საათზედ, ჩვეულებისამებრ, იქნება საკათედრო სიონის ტაძარში ქადაგება, რომელსაც იტყვის ქართლ-კახეთის და იმერეთის სინოდის კანტორის წევრი, მამა არხიმანდრიტი ნიკოლოზი. (2—2)

## ახალი ამბავი

*** ტფილისის პირუტყვთა მფარველს საზოგადოებას გუშინ-წინ ოფიციალური ცნობა მოუვიდა იმის შესახებ, რომ ამ საზოგადოების მედალი და მუდმივ წევრთათვის ნიშნები დეკემბრის 19 უმაღლესად დაუმტკიცებიათ.

*** ამ უკანასკნელს დღეებში ჩვენის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის განკარგულებით დეპეშები და წერილები ეძლევათ ფოსტალიონებს დასატარებლად; ამის გამო დეპეშები ძალიან გვიან მოსდით ადრესატებს. უმჯობესი იქნებოდა, რომ დეპეშები წინანდელსავით ცალკე კაცებმა დაატარონ და არა ფოსტალიონებმა წერილებთან ერთად.

*** რკინის გზის ერთ-ერთ დისტანციის ჩაბარების დროს შეუნიშნავთ, რომ 160 ათას მანეთის რელსები, რომელიც დავთრებში ჩაწერილი ყოფილა სათადარიგო რელსებად, არ აღმოჩენილა. სად გამქრალა ეს ამოდენი რელსები, ჯერ არ იციან.

*** ამბობენ, ფინანსთა სამინისტრომ შეიწყნარა ადმინისტრაციის თხოვნა შესახებ იმისა, რომ ქუთაისის გუბერნიაში სახელმწიფო გარდასახადი სიმინდით გადიხადონ გლეხებმაო. ეს ამბავი ფრიად სასიამოვნო ამბავია, რადგანაც სიმინდის საზღვარ გარედ გატანა აკრძალულია და ადგილობრივ-კი არ იყიდება.

*** ოთხშაბათს, 29 იანვარს, ჩუღურეთში, ვასილიევის სახლში, შემდეგი უბედურება მოხდა: რამდენიმე ყმაწვილი ერთად თამაშობდა. ავიდნენ სხვენში, ქაღალდში გახვეული დარიშხანა იპოვნეს და დაუწყეს ჭამა, ეგონათ ტკბილეული რამეაო. ცოტა ხნის შემდეგ ერთს ყმაწვილს მუცელი ასტკივდა. მამამ მაშინვე პოლიციას შეატყობინა. ყმაწვილს მაწონი აჭამეს. შემდეგ მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. იმავე დროს პოლიციას შეატყობინეს, რომ დარიშხანა 8 სხვა ყმაწვილსაც უჭამიაო, და სუყველანი იმავე სამკურნალოში გაჰგზავნეს. ყველა მოწამლულს ყმაწვილს კუჭი გაუწმინდეს და შემდეგ შინ გაჰგზავნეს, მხოლოდ ერთი $1^1/_2$ წლის ყმაწვილი, რომელმაც პირველად შეჭამა დარიშხანა, შინვე მოკვდა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ დარიშხანა სახლის უწინდელს მდგმურებს თაგვების დასახოცად დაუმზადებიათ და, როცა ამ სახლიდგან გადასულან, დავიწყებიათ წაღება.

*** სიღნაღი, 29 იანვარი: წასვლა და აღარ მოსვლა ამ იანვრისა, რომ ასეთი ნავსი თთვე გამოდგა. გული შეგვიწუხა სწორედ იმ ათასმა უბედურებამ, რომელიც ამ იანვარში დაატყდა ჩვენს ერს ხან სადა და ხან სად. რაც უკვე მოგეხსენებათ, იმას აღარ გაგიმეორებთ, და ჩამოვთვლი სხვა უკეთურებას, რომელიც მოხდა აქეთკენ იანვრის განმავლობაში. აი, ბატონო, შირაქში ვიღაც მწყემსებმა მოჰკლეს ერთი ჩოდარი ლეკი, დედოფლის წყაროზე ტყის დარაჯმა გაანთხევინა სული ერთს ყმაწვილს კაცს. არც ამით გაათავა იანვარმა უბედურება. ამას წინად ერთს საწყალს ნუკრიანელს კაცს მოჰქონდა არყის ბოჭკები ს. ს—სოვისა. ანაგის ამოსავალ აღმართზე დაუგორდა ურემი და გადაუბრუნდა. საცოდავზე გადაიარა ურემმა და იქვე სული გააფთრხობინა. ხარიც იქვე მოუკვდა.

ეს ინფლუენცაა თუ რაღაც ეშმაკი, ამან ხომ ილაჯი წაიღო. სულ თავ-შეხვეული და ცხვირ ჩამოშვებული დადის ჩვენი სიღნაღის საზოგადოება. გვეწვია ვიღაც თვალთმაქცი კოხტოევი, მაგრამ იმისმა თვალთ-მაქცობამაც-კი ვერ გაამხიარულა მოწყენილი სიღნაღელები. ანკი როგორ გაამხიარულებდა, რომ სულ ორი სამი ფოკუსი არ უჩვენებია: ცოტა ხალხი მოვიდა ჩემს სათვალთ-მაქცო საღამოზე და ამიტომ მეტს ვერას გაჩვენებთო.

ამ იანვრის 25 მოინათლა აქ მართლ-მადიდებელად ერთი მაჰმადიანი. 26 იანვარს იყო ქალაქის წარმომადგენლების (დეპუტატების) არჩევა და ისევ ძველები ამოირჩიეს ერთხმად: ა. შავერდოვი და მ. არუთინოვი. ამავე დღეს საღამოზედ გაიმართა ბალი სასარგებლოდ რუსეთის დამშეულთა. ხალხი საკმაოდ დაესწრო.

*** ცხინვალი: ჩვენში წელს ზამთარი როგორღაც არა ზამთრობს: შობისა და ახალწლის დღეებმა წვიმით გაიარა, ნათლიღების მესამე—მეოთხე დღეს თოვლი მოგვივიდა შესაფერი, ეხლა-კი კარგი დიდი თოვლი ძევს. ამინდი აქნობამდე ხმელი და ცივი იყო; ეს ორი სამი დღეა, რაც ცოტა მოთბა.

ჩვენმა სასოფლო პურის მაღაზიამ მხოლოდ წლეულს გამოჰყო ფეხი; ვკრეფავთ კაცზედ ორს ჩანახს პურს. წლეულობით შვიდასს ფუთს პურს ვაგროვებთ და მერმისისათვის, ღმერთო შენითა, მაღალს ფარდებშიაც არ გაგვიჭირდება ასვლა. კარგი ლაზათიანი სამ-ოთხ ოთახიანი ქვითკირის სახლი უნდა წამოვჭიმოთ მაღაზიისა და კანცელარიისათვის...

ქუჩების მოკირწყვლას ქვით საგაზაფხულოდ დავიწყებთ. უმთავრესი ქუჩის დაგება ფოსტის წინ მხოლოდ ნახევრამდის მოგვიხდა, დიდი თოვლი ხელს გვიშლის. ქუჩის ფანრები პირველ იანვრიდგან არ ინთება, თუმცა იჯარით-კი აქვთ აღებული, რის გამოც ამ მიხვეულ-მოხვეულს ვიწრო ტალახიანს ქუჩებში გაძნელებულია სიარული. იმედია ამ პირველ თებერვლიდგან დაიწყებენ ნთებას. ჩვენ გვაქვს სულ ქუჩის ფარანი ორმოცდა ათი, ახლა მოვუმატეთ კიდევ ექვსი. ამ ექვსის ფარნის მომატებისათვის ეს იანვარი „გამოუჩოთქეთ“ უნთებლობისათვის იჯარადარს და მივეცით ფასი ისევ წარსულის წლისა, საყასბოსი და სასწვრის შემოსავალი.

დიდს ლიახვზედ ხიდის კეთებას პირველ აპრილამდის დაგვიმთავრებენ. საყველიეროდ აქაური მოთავენი წარმოდგენის გამართვას აპირობენ მომავალის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ.

*** იქიდამვე: გუშინ, შუადღისას, სოფელ გუბთაში ოსს გაურ ბაგაშვილს, გზად მომავალს, დახდომიან ფადო ბითეშვილი, 18 წლისა, ® სხვა მისი ამხანაგები. „შენ რათ გახველ ჩვენსგნით მთხრობლადო“? შეუტევიათ და დაუწყვიათ უწყალოდ ცემა; ბაგაშვილი გამოჰქცევიათ, ესენი კვლავ წამოსწევიან და განუგრძვიათ ცემა. ბაგაშვილს ხანჯალი უძვრია მოსაგერებლად, მაგრამ მალე წაურთმევია ხალხსა, რომელიც ყვირილზედ მათ შუა გაჩენილა. ფადო ბითეშვილს საიდგანღაც უგდია ხელში კეტი, დაუთხლეშია თავში ბაგაშვილისათვის. გაალმასებული ბაგაშვილი სწვდომია ფადოს ხანჯალს, რომელიც წელზედ რტყმია, ამოუძვრია, შემოუქნევია მუცელში და ჩაუბარებია პატრონისათვის. გაურ ბაგაშვილი ამ ჟამად ცხინვალის საპატიმროში ზის. ჰალარა შერთული კაცია. ამას წინად რაღაცა უსიამოვნობა მოსვლია ფადო ბითეშვილთანა და იმისს ამხანაგებთან.

---

# ფელეტონი

**სიმონა**

(მოთხრობა გლეხ-კაცობის ცხოვრებისა)

**XIV**

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 22)

„ქალის ჭკუა! ჯერ თავი დეიკლა არ წავალო და ახლა უყურე თუ დილამდი არ დარჩეს ღამის თევაში! ან რა გასაკვირალია, ბალანაი ქალია, ჯავრიან გულს გადააყოლებს. საცოდავი, ამდონი ხანია ტირილიდან არ მუუსვენია მის თვალებს! დღეს ერთს მაინც გეიხედ-გამოიხედავს, თვალს წყალს დაალევინებს. რომ არ დამეჩემებია, არც ქე აპირობდა წასვლას!“ აგრე ლაპარაკობდა თავისს გულში ქეთევანა, როცა შუაღამისას გამოიღვიძა და ჯერ კიდევ დარია არ მოსულიყო.

გათენდა. ხალხი დაბრუნდა თავიანთს სახლებში. მაგრამ დარია არსად სჩანდა. „რა ქნა ნეტაი, გადირია ii ქალი! ახლა რაღა უნდა საყტარზე! რა ვქნა, რა დიემართა, რომ არ ვიცი!“ დაიწყო შფოთვა ქეთევანმა. მზე ამოვიდა და დარია-კი არა სჩანდა. ქეთევანმა აფრინა პატარა ობოლი ქალი, რომელსაც თითონ ზრდიდა, ფეფიკოსთან. „ფეფიკომ, მე არ ვიციო, ჩემთან აღარ ყოფილა მერე“-ო მოუტანა ქალმა ამბავი. „აბა, იქნება, მარიამთან გაათია ღამე, ბალანაი იქინეი ჰყავდა დატიებული“-ო, იფიქრა ქეთევანმა და იქაც გაგზავნა პატარა ქალი. მაგრამ „აქანაი არ მოსულა და ბალანაი ძალიან ტირის“-ო, მოუვიდა პასუხად. შიში მაჩვენე, მუხლს გაჩვენებო, ამ ანდაზისა არ იყოს, ქეთევანს დაავიწყდა თავისი ავადმყოფობა, ადგა, დაიბიჯა ჯოხი და გაჰყვა ამბის გასაგებად მეზობლობაში. მაგრამ ზოგი ეუბნებოდა „არ გვინახავს“-ო, ზოგი — „ერთხანს-კი იყო საყტარზე და მერე არ ვიცი“-ო.

საწყალი ავადმყოფი მოხუცი დიდხანს დადიოდა თავის დასუსტებულის ფეხებით იქეთ-აქით, ბევრგან მუხლებმა უმტყუვნა, საკვალეში ჩაეკეცა და ძლივს წამოდგა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა, ვერაფერი გაიგო რძლის შესახებ. „ფარცაგი აღარ არის ჩემს თავზე! მარა რაი რომ არ ვიცი! ძველი დროი რომ ყოფილიყო, ტყვის ყიდვა, ვიფიქრებდი ფირალებმა დეიჭირეს მეთქინ. ახლა ტყვის ყიდვა აღარ არის. თუ რჯულზე ხელი ეილო და თავი შეირცხვინა, შინ მუუსვლელობა რაღაა მაინც! თუ ვინმემ გაგვაბახა და თავს ლაფი დაგვასხა, ამდონს ხანს მაინც რაა!.. ვერაფერი გამიგია, გული მისკტება!..“ ლაპარაკობდა ქეთევანი გაგიჟებულსავით.

მზემ წამოიწია. გაისმა არემარეში დაწყნარებულს დილას ზუზუნ-ზუზუნით დიდის ზარის ხმა. ქეთევანმა უაზროდ გადაიწერა პირჯვარი და სთქვა: „კიდეც დარეკეს! ფარცაგი აღარ არის!“ ის ეხლა ხან ზედა კარს მივარდებოდა და იმზირებოდა გარედ და ხან ქვედას. პატარა ქალი შეშინებული და თვალებ დაჭყეტილი უყურებდა თავისს „ბებიას“, როგორც ის ეძახდა. უკანასკნელად ქეთევანმა აიღო ჯოხი და აპირებდა კიდევ სადმე წასვლას, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა, საით და ამიტომ გაჩერდა ჯოხით კართან. ამ დროს ვიღაცამ ცოფიანსავით შემოაღო ქვედა კარი. ქეთევან საჩქაროდ მობრუნდა და დაინახა დარია. მაგრამ ვაი იმისთანა დანახვას! დარიას ადამიანის ფერი აღარ ედო. თმა გაწეწილი, კაბა გასვრილი და დახეულ-დაჭმუჭნული. ტუჩები ჩალურჯებოდა, ლოყები, თითქო სისხლი აღარა აქვს შიგაო, განაცრისფერებოდა, თვალები გიჟურად უტრიალებდა. სულს ძლივს იბრუნებდა მოქანცულობისაგან. „ქალო, გადირიე, თუ რას გავხარ!“ შეჰკივლა ზარ-დაცემულმა ქეთევანმა.

— იმას ვგავარ, ჩემო დედამთილო, რომ თავიც დაღუპე და მეც დამღუპე შენი წუხანდელ დაჟინებული რჩევით! დამიჩემე ხატი და ღმერთიო. ჩვენისთანა უბედურისთვის არც ხატია და არც ღმერთი! თუ იყოს, არც ასე იქნებოდა, მგელსავით რომ შემჭამეს! არ დამეჯერია, ცოცხალი გეყოლებოდი. აწი რაღაი, გათავდა! მარა შენი რა ბრალია, ან შენ რა იცოდი, თუ კაცი და მგელი ერთი იყო! არ იცოდი და აგია! ჩემო დედამთილო, ამას გთხოვ: სიმონ რომ მოვიდეს, უთხარი შენის დამღუპველის შვილმა, ტიტიკომ ძალით მომერია და გაძღა ჩემი ხორცით თქვა. ჰო, გაძღა! ჩემი არც ძალა გევიდა, არც ხვეწნა; არც ტირილი! მგელსავით წამათრიეს ტყეში! ტყეში, გზაზე რომ ტყეია! სანამ ჩემი ხორცით არ გაძღენ არ გამიშვეს! ორი კაცი იყო, მომერია! რა უჭირს, იცის რომ მე აწი იგინს საწყენად ვერ მივსტობი! ვაი, ერთი დანა მქონებოდა! მარა, რომ გჭირია, მაშვინ ვინ მოგცემს! სიმონს უთხარი: „არ

⁂ ყვირილიდგან სწერენ გაზეთს „ნოვ. ობოზ“.-ეს, რომ ჭიათურში, საცა ამ ჟამად რკინის გზის შტოს გასაყვანად მუშაობენ, კლდე აუფეთქებიათ. ამ დროს ერთი ქვა ორს მუშას დასცემია თავში და იქვე მოუკლავს.

⁂ იქიდამვე იწერებიან, რომ ამ დღეებში მაზრის ბოქაულმა კატორგიდგან გამოქცეული კაცი შეიპყრა და ქუთაისში გაჰგზავნა. ეს ავაზაკი 12 წელიწადი შორაპნის მაზრაში იმალებოდა თურმე ნათესავებში.

## კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოების კრება.

(30 იანვარს)

კრებას დაესწრო მთავარმართებლის თანაშემწე გრაფი ტატიშჩევი და თავმჯდომარეობდა შტაბის უფროსი გენ. ლეიტენანტი პერლიკი. ვიდრე კრებას მოხსენდებოდა ბ-ნ კონშინის რეფერატი, თუ რა გზით და საით მიმდინარეობდა ამუ-დარიის წყალი ძველად, საზოგადოების ერთმა წევრმა წაიკითხა მოკლე მოხსენება შესახებ განსვენებულის დიდის მთავრის კონსტანტინე ნიკოლოზის ძისა. განსვენებულს, სთქვა ლექტორმა: დიდი ღვაწლი მიუძღვის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების წინაშე, რომლის განყოფილებასაც შეადგენს ჩვენი საზოგადოებაო. განსვენებული იყო დიდხანს თავსმჯდომარედ საიმპერატორო სიგეოგრაფიო საზოგადოებისა და იმის შემწეობით ბევრი ძვირფასი საგეოგრაფიო გამოკვლევა შეიძინა ქვეყანამ, ასე რომ ჩვენმა საიმპერატორო საზოგადოებამ სახელი გაითქვა ევროპის სხვა ამ გვარ საზოგადოებათა წინაშეო. ეს მოხსენება კრებამ მოისმინა ფეხზედ დგომით. ამას შემდეგ ბ-ნ კონშინი შეუდგა თავის რეფერატის კითხვას. ბ-ნ კონშინს მინდობილი ჰქონია კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოების მიერ გამოეკვლია, საით და როგორ მიმდინარეობდა ამუ-დარია. რეფერენტს დიდხანს უმუშავნია ამ საგნის გამოსაკვლევად, მრავალი რუკაც წარმოადგინა, მაგრამ დაბეჯითებით ეხლაც არ შეიძლება ითქვას, რა მიმდინარეობა ჰქონია ამუ-დარიას ძველადაო.

ამუ-დარიაზე ცნობა ძველ საბერძნეთის ისტორიკოსს ეროდოტსაცა აქვს. იმისის სიტყვით, ამუ-დარია ორ ტოტად იყოფოდა; ერთი ერთვოდა არალის ტბას და მეორე კასპიის ზღვაში ჩადიოდა. ამასვე იმეორებენ პლინიუსი და სხვა გეოგრაფები; არაბთა მწერლები-კი მეცხრე საუკუნისა ამტკიცებენ, რომ ამუ-დარია ჩასართავში მრავალ ტოტად იყოფოდა. ერთ ამ ტოტთაგანად ეხლა ასახელებენ უზბოის. აქ თურმე ძველად აყვავებული ცხოვრება ყოფილა, ასე გასინჯეთ, ვენახებიც-კი უშენებიათ. ეხლა-კი ეს ადგილები გაუერანებულია და აოხრებული. ამისათვის ხშირად აცხადებენ, სურვილს ამუ-დარია ისევ ძველ-კალაპოტში ჩავაყენოთ და კასპიის ზღვისკენ ვუყოთ პირიო. რაკი წყალი გაჩნდება, მაშინ ხვნა-თესვაც ფეხს მოიკიდებს ამ უშველებელს მინდვრებზეო. მაგრამ ასეთის განზრახვის სისრულეში მოყვანა აუარებელს ხარჯს მოითხოვსო.

საზოგადოებამ მადლობა გამოუცხადა ბ-ნ კონშინს ამ რეფერატის წაკითხვისათვის.

## გზად-გაგონილი

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, 30 იანვარს კრება ჰქონდა სამეურნეო საზოგადოებას, მაგრამ უცნაური და საგანგებო კრება, რომელზედაც მხოლოდ წევრნი იყვნენ მიწვეულნი და სხვებს არავის შეეძლოთ დასწრება. ამის გამო დღეს ჩვენ მარტო იმას გავუზიარებთ მკითხველებს, რასაც ქალაქში ლაპარაკობენ ამ კრების შესახებ. მიზეზი ამ კარ-დახშულის და კარ-ჩაკეტილის კრებისა თურმე ყოფილა ორი. პირველი ისა, როს საზოგადოების ჟურნალის მეცხრე და მეათე ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი ბ-ნ ე. იოსელიანისა „Нужда нашего шелководства“ და მეორეც ისა, რომ საზოგადოებამ ითავა საბალოსნო სკოლის შენობის გაკეთება და სასურველად-კი ვერ წაუძღვა. ბ-ნი იოსელიანი ხსენებულს წერილში აღნიშნავდა ღირსებას იმ აბრეშუმის თესლისას, რომელიც შარშან ზაფხულს მიჰყიდა აქეთ-იქით საბრეშუმო სადგურმა, მუშტაიდის ბაღში თავ-მომწონედ გამოკეკლუცებულმა. გაზეთებიდგან გეხსომებათ, რომ ყველანი ერთხმად უჩიოდნენ ამ თესლს და სინანულით იგონებდნენ მასში გაცემულს ფულს. ასეთივე საჩივარი ამოეკითხა ბ-ნს იოსელიანს ერევნის, განჯის და სხვა გუბერნატორების მოხსენებებში, რომელნიც გამოგზავნილ ყოფილან მთავარ-მართებლის კანცელარიაში, და ყოველ ამ ცნობათათვის მოეკრიბა თავი-თავს და ჩაერთო საზოგადოების ჟურნალში, რომელსაცა კითხულობენ მხოლოდ მისი წევრნი. აქ საწყენი ვისთვის-რა უნდა ყოფილიყო? რატომ საზოგადოების წევრთ არ უნდა სცოდნოდათ ის სამდურავი, რომელიც ხალხში ტრიალებს და რომელზედაც ჰღაღადებდნენ გაზეთები? ამისდა მიუხედავად, ერთმა წევრმა მიჰმართა საზოგადოებას საჩივრით, რომ ბ-ნს იოსელიანს არ უნდა დაეწერა მაგეთი წერილიო, რადგან მაგით სახელს უტეხავს მართებლობის დაწესებულებას, ე. ი. საბრეშუმო სადგურსო და სხვ.

ეს საჩივარი თურმე განიხილა საბჭომ საზოგადოებისამ და სცნა, რომ ავტორს იგი არ უნდა დაებეჭდნა დაუკითხველადო. ამის გამო საბჭოს თავმჯდომარემ ბ-ნმა ბახმატიევმა გაზ. „Кавказъ“-ში დაჰბეჭდა წერილი, რომელშიაც, ამბობს, რომ საბჭო არ ეთანხმება წერილის მიმართულებასაო. აი ეს საკვირველება იყო თურმე განხილული საზოგადოების კრებაზე, რომელზედაც ითქვა, რომ ბ-ნ ე. იოსელიანის წერილში არა არის-რა ისეთი, რაიცა სახელს უტეხავდეს მართებლობის დაწესებულებასო, მაგ წერილს აქვს საგნად მხოლოდ აღადგინოს ხალხის თვალში კეთილი განზრახვანი მთავრობისა, რომელიც ხარჯს არა ჰზოგავს, ოღონდ-კი ხალხში გაავრცელოს რიგიანი ცოდნა ჭიის მოვლისაო, და თუ ვისმესთვის საჩოთიროა ეგ წერილი, მარტო იმათთვის, რომელნიც ჯეროვანად ვერ ასრულებენ მთავრობის განზრახულებასო. მხოლოდ ის-კი არ უნდა ჩაედინა ბ-ნს იოსელიანს, რომ არ დაეკითხა საბჭოს და ისე დაბეჭდაო. აგრეთვე საბჭოს თავმჯდომარეს არ უნდა დაებეჭდა ხსენებული წერილი გაზეთში, ვიდრე არ შეეკითხებოდა საზოგადოების წევრთა კრებასაო.

რაიცა შეეხება საბალოსნო სკოლის შენობას, აქ აღმოჩნდა თურმე დაუდევნელობა იმათი, ვისაც უნდა თვალყური ედევნებინა იჯარადარის მოქმედებისათვის და არ ეძლიათ ფული, ვიდრე გაკეთებულს საქმეს არა ჰნახავდნენ. რამდენად ყოველივე ეს მართალია, ამის შემდეგში ვაუწყებთ მკითხველებს.

## რუსეთი

შარშანაც გვქონდა მოხსენებული ჩვენს გაზეთში, რუსეთის შაქრის მექარხნეებმა პირობა შეჰკრეს იმ განზრახვით, რომ შაქრის ფასმა არ დაწიოსო. ეხლა ამ საგნის შესახებ წიგნაკი დაჰბეჭდა ბ. ს. შჩერბატინმა და ვრცლად განმარტა, თუ რა და რა ღონისძიებასა ხმარობენ შაქრის მექარხნეები თავისს წადილის მისაღწევად. ამ ხუთის წლის წინად მხოლოდ 70 მექარხნემ შეჰკრა პირობა, ამდენსა და ამდენზე მეტს ნუ გავაკეთებთ შაქარს, რომ არ გაიაფდესო. მას შემდეგ ეს მექარხნეები მოჰყვნენ და სულ იმასა სცდილობდნენ, რომ სხვა მექარხნეებიც მიემხროთ. მუქარითა თუ სხვა რამ ღონისძიებით მართლაც მიიმხრეს ბევრი სხვა მექარხნეც, ასე რომ ამ ჟამად 199 მექარხნესა აქვს პირობა შეკრული ზემოხსენებულს საგანზე. რუსეთში სულ 226 შაქრის მექარხნეა და, მაშასადამე, პირობას გარეშე დარჩენილია მხოლოდ 27 მექარხნე-ღა, რომელნიც არა ნდომობენ პირობა შეკრულ მექარხნეთაგან დანაპირებს სიკეთეს. მერე რა შედეგი მოჰყვა მექარხნეების პირობის შეკვრას? რაკი 199 მექარხნეს ერთს ქაღალდზე ჰქონდა ყველას მოწერილი ხელი, აიღეს მათმა მეთაურებმა და მთავრობას მიჰმართეს თხოვნით: აი უმრავლესობა შაქრის მექარხნეებისა გთხოვთ, თქვენ ჩამოერიოთ ჩვენს საქმეში და განგვისაზღვროთ, ვინ ჩვენგანმა რამდენზე მეტი შაქარი არ უნდა გააკეთოს წელიწადში და ან რა ფასად უნდა ვყიდოთო. წინადაც ორჯელ ითხოვეს შაქრის მექარხნეებმა, მაგრამ უარი მიიღეს მთავრობისაგან და ეხლაც, იმედია, მათი მესამე თხოვნა ამ ჟამადაც უყურადღებოდ იქნება დატოვებული. მეტად საყურადღებო სამეურნეო საგანია შაქრის წარმოების საქმე და ამიტომ ადვილი არ არის ამ თავითვე ათის-თუთხმეტის წლის ვადით შებორკილება და განსაზღვრა—ამაზედ მეტს ნუ გააკეთებთო. პირობა შეკრული მექარხნეები სულ დასავლეთ რუსეთის მექარხნეები არიან, ხოლო პირობა-შეუკვრელნი შიდა რუსეთისანი. აქ განსხვავება იმაშია, რომ დასავლეთის რუსეთში მექარხნეები ჭარხალს საშაქრედ მომეტებულ წილს ყიდულობენ (87°/o-მდე), ხოლო შიდა რუსეთის მექარხნეებს თვითონ მოჰყავთ თავიანთს მამულში, კარგის სამეურნეო წესით, მიწის ღაუღლელად. დასავლეთ რუსეთის მექარხნეებმა თუ დროებით ჩაიგდეს მიწა ხელში, თითქმის წვენს გამოადენენ, მიწასა ჰლლიან და აფუჭებენ. ამას შემდეგ განა სანატრელია, რომ დანარჩენი 27 მექარხნეც პირობა შეკრულს მექარხნეებს მიემხროს? არც ხელს მისცემს მათი მიმხრობა, რადგანაც ეხლა თვითონ ჯერ ერთი უფრო იაფად უჯდებათ შაქრის კეთებაც და მეორეც უფრო ახლოც არიან დიდს ბაზრებთან—მოსკოვსა და პეტერბურგთან და მიტანა საქონლისა ადვილიცაა და იაფიც. კიდეც ამის გამო რუსეთის გაზეთები იმედოვნებენ, რომ მთავრობა ეცდება და ხელს შეუშლის ყველა მექარხნეებს პირობის შეკვრას. მით უმეტეს ადვილი მოსახერხებელია ეს საქმე, რომ ბევრს უკვე პირობაზე ხელმოწერილს მექარხნეს ჰსურს თავი გაინთავისუფლოს პირობისაგან.

## უცხოეთი

**ოსმალეთი.** გაზ. „Neue Freie Presse“-ს სიტყვით, ხონთქარი დიდადა ჰზრუნავს მხედრობისათვის და ამ ზრუნვის წყალობით საქმე უკვე ისე მოიხერხა, რომ ამ ჟამად ერთ მილიონამდე ჯარის-კაცი ჰყავს და ამათგან 700,000 შეუძლიან ერთს წამს შეაიარაღოს. ეხლა ყველაზედ მეტად საზრუნველო ოსმალეთის სამხედრო მთავრობისა ის არის, რომ ერთ გვარის იარაღით შეაიარაღოს ქვეითა ჯარი. ამ ჟამად ოსმალეთსა აქვს 500,000 თოფი ძვე-

---

გილალატებ“ რომ გითხარი, ტყუილი დარჩა, ქვეყანაში თავი მოგჭრა შენმა ცოლმა, ერთ ღამეს სხვის ხელში იყო თქვა, მართალია, ნებით არა, მარა სულ ერთია, ქვეყანა მაინც იტყვის, გასცინებს „ასეთისეთის ქმარი ხარ“-ო. მარა არ შეგარცხვენ, მე აწი კაცი ველარ მნახავს თქვა. სიმონს არ ეკადრება შერცხვენა, კაი ვაჟკაცია. იმედათ მიმყობა, რომ ჩემს მწვალებას არ შეარჩენს ტიტიკოს. დედამთილო, იი ჩემი პაწია გაბრიელაი შენ იცი. შენ მიჩოვილი ხარ ობლების დაზდას. ნეტაი ერთი მანახვა! მარა არ იქნება, გვიან არის! ამ ჩემი შერცხვენილი თვალებით რავა შეეხედება იმ ანგელოზს! ჩემი წაპილწული ბაგე არ მიეკარება! ველარ ვნახავ! გათავდა, ველარ ვნახავ! მშვიდობით, ოჯახო, მშვიდობით, სახლო, კარო! მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით, სიმონ, ერთი ამ ბოლოს შენი თვალები დამანახვა სადმეიდან ჩუმათ! ერთს შეგხედავდი ამ ბოლოს, მეტს ვერ გავბედავდი! გაბრიელავ, ჩემო პაწა გაბრიელავ! ვის ხელში იქნები, ვინ იცის! აგატირებენ უჩემოთ! გათავდა მშვიდობით!“ აქ ერთი დაიხარა დარია და აკოცა საკარულს. ის ისე ცოფიანსავით ამბობდა ზემოხსენებულს სიტყვებს, რომ ქეთევანს ვერ მოეხერხებინა თავისი სიტყვის ჩარევა, თუმცა-ღა-კი მიხვდა, რაც მოსვლოდა დარიას და „ვაი, შერცხვენილს“, „ვაი, თავ-მოჭრილს“ “ვაი, გაბახებულს! აგი გვაკლდა!“ წამოძახებდა ის დარიას სიტყვებზე და ჩაიცემდა მკერდში გაცოფებულისავით ხელს. ამაზე მეტი ან რა ეთქვა, ან რა ექნა: ენუგეშებია რძალი, თუ გაწყრომოდა, ჯერ ვერ გამოერკვია, რადგანაც ეს მისთვის თავ-ზარ-დამცემი ახალი ამბავი ქარიშხალსავით უტრიალებდა გონებაში. დარიამ აკოცა თუ არა საკარულს, ისე გამოვარდა გარედ და გაქრა სადღაც, რომ ქეთევანს თვალის მოკვრაც არ მოუსწვრია. „ქალო, რას მიშობი, სად მიხვალ! ვის უტიებ იმ ბალანს“ო, დაედევნა ქეთევანი უკან. მაგრამ დარია-კი აღარსად სჩანდა.

—

როცა სიმონას სახლში ზემო-აღწერილი სცენა მოხდა, დავით დროძის დიდიხ „ოდის“ ერთს ოთახში ქვემო მოყვანილი ლაპარაკი ჰქონდა ტიტიკოს და მისს ძმას ლევანს:

— აიღეს ის შენი აუღებელი ციხის ძირი. უთხრა ტიტიკომ ლევანს.

— არა თუ! მართლა, შენ რაღაც ამბებში ხარ. გვიანაც დაბრუნდი. რა ქენი, გაარიგე რამე? ჰკითხა ლევანმა.

— რა ვქენი და, რაც დავიჭირე, გავქენი.

— თუ-კი დაიჭირე, გაქნიდი, რა თქმა უნდა. არა, მართლა?

— რა მართლა? დიდი საქმეა ღატაკი გლეხის ცოლი თუ...

— ძალით, თუ ნებით?

— ძალით. სასაცილოა, ჩიტი მაინცა და მაინც იქ დაჯდება, სადაც მახე უგია! თურმე რაღაც ბავშვი ჰყოლია, ასწია და შუაღამეზე არ წამოვიდა შინ იმის გულისთვის! ჩვენ ეს წინდაწინ ვიცოდით ფეფიკოს სიტყვებისაგან. დავხთით მე და ჩემი დათო გზაზე, დათომ მოხვია თავის მძლავრი მკლავები და, თითქო მგელმა ციკანიო, იფრინა ტყისაკენ. ქალი ჯერ შეშინდა და ხმა ვერ ამოიღო. მერე, როცა კივილი დააპირა, დათიკომ მისცა პირში ჩემი აბრეშუმის პლატოკი. მაგრამ დიდ ხანს-კი გვაწვალა, კაცო. Чортъ ее побери! კინაღამ ხელი არ ავიღე და არ წამოველ შინ ხელ-ცალიერი. მაგრამ დათო, დათო! ლომია! ისე მოღალა, ისე მოქანცა, რომ ბოლოს აღარც-კი განძრეულა...

— დაიმორჩილე?

— დავიმორჩილეთ. მაგრამ, უნდა გითხრათ, это прелесть! Я такой не видалъ. აგერ დარეკის დრომდე მყავდა. იცი, კაცო, ფული ვაჩუქე და როდი წაიღო! ალბათ, ეშინია, სახლში რომ შეუტყონ, სცემენ.

— ნეტაი, ტიტიკო, ეს საქმე შენ არ გექნა, ჯერე, რომ ქვეყანა შეიტყობს და სირცხვილია. მერე იიბიჭი, სიმონაი, ისეთი ჟამი ყაზახია, რომ ცუდ რამეს იზამს. თუ შეტყო. დიდი ხანი აღარ აკლია იმის გამოშობას. უთხრა უკმაყოფილოდ ძმას ლევანმა.

— ქვეყანა საიდგან შეიტყობს? მე არ ვიტყვი და შენ. მერე, თუ უნდა შეიტყოს, დიდი საქმეა, ქეთევანის რძალს შეეხენ! იმ ყაზახმა არაფერი გაბედოს, თორემ სულს ამოვართმევ! იცოდეს, რომ მე აფიცერი ვარ.

ძმამ აღარა უთხრა-რა ტიტიკოს, რომელიც გაცხარებული დადიოდა ოთახში. უკანასკნელ ტიტიკო დამშვიდდა და დაიძინა.

—

ქეთევანმა ბევრი უძახა დარიას, მაგრამ სამაგიერო არსაიდან ესმოდა. ბოლოს ერთს მეზობელს შეეხვეწა, გაგზავნა დარიას მშობლებთან—„მოდითო“. თითონ-კი დადიოდა ახლო მახლო და ეძებდა. როცა დარიას დედა და ძმა მოვიდნენ, ქეთევანი შინ არ დახვდათ. „დარიეი-გექცა, ბებიეი

ლის, მარტინი-ჰენრის ყაიდისა, 200,000—მაუზერისა და ამას გარდა გერმანიის თოფ-იარაღის ქარხანას შეკვეთილი აქვს 280,000 თოფი მანლიხერის ყაიდისა. გადაწყვეტილია, რომ მარტინი-ჰენრის თოფები ახალის ყაიდის თოფებად გადაკეთდეს, ასე რომ ოსმალეთს, თუ ამ საქმესაც მორჩა, 780,000 თოფი ექნება ჯარის შესაიარაღებლად.

**ბოლგარია.** ამას წინად ჩვენ ნათქვამი გვქონდა, რომ სტამბულოვს რევოლვერი გაუვარდა და დაიჭრაო. აი ეხლა ამ ამბის შესახებ რასა სწერენ გაზ. „Figaro“-ს ბელგრადიდგან. „უკვე გაუწყეთ დეპეშითაო, სწერს კორესპონდენტი: რომ დიდძალი პროკლამაციები აღმოაჩინეს ფერდინანდისა და სტამბულოვის წინაალმდეგ სოფიის ყაზარმებში. ამ ჟამად ცნობა მომივიდა, რომ დიდი შეთქმულობა აღმოუჩენიათ პრინცისა და იმის მთავარ-მინისტრის მტრებისა. შეთქმულთ რიზოვი ჰხელმძღვანელობდა თურმე ბელგრადიდგან. შეთქმულთ მიამხანაგებია ზოგიერთი აფიცერიც. ტყუილია ის ამბავი, ვითომ სტამბულოვს რევოლვერი გაუვარდაო. მიზეზი იმისის დაჭრისა ის არის, რომ ორს სამსახურიდგან დათხოვნილს ბოლგარიის აფიცერს თითონ უკისრიათ მინისტრის მოკვლა. ამას წინად ერთი მათგანი სტამბულოვს მიყრუებულს ქუჩაში შეხვედრია. ბოლგარიის მთავარ-მინისტრს გზა აუქცევია, მაგრამ შეთქმული მივარდნია, ორჯელ დაუხლია რევოლვერი ძგაქცეულა. პირველი ტყვია მოხვედრია სტამბულოვს, მეორე—ასცდენია. პოლიციის აგენტი, რომელიც ყოველთვის თან ახლავს სტამბულოვს, ძირს დაცემულს მინისტრს მიშველებია და ამ გვარად ბოროტ-მოქმედს გაქცევა მოუსწვრია. ეს შეთქმულობა პრინც ფერდინანდის წინაალმდეგაც ყოფილა და აზრად ჰქონიათ, ერთს შეთქმულთაგანს მოეწამლა იგი. ეს შეთქმული სასახლეში შესულა მოსამსახურედ—ჭურჭლების მრეცხავად. ერთს მხარეულთაგანს უნახავს, რომ ამ კაცს რაღაცა საეჭვო ფხვნილი ჩაუყრია პრინცის მათლაბაში, და იქვე დაუპატიმრებია. პრინცს ეს კაცი განუსამართლებლად რუშჩუკისა, თუ ვიდინის ციხეში გაუგზავნია.

**ავღანისტანი.** გაზ. „ახტერი“ ამბობს, რადგან ხმა გავრცელდა ავღანის ემირის აბდურახმან-ხანის ავადმყოფობის შესახებ, ინგლისის მთავრობამ თავისი შეიარაღებული ჯარი, რომელშიაც 40,000-მდე კაცია, ავღანისტანის საზღვარზედ დააბანაკაო. იმ აზრით არის ამ ალაგას ჯარი დაბანაკებული, რომ, ვინიცობაა ემირი აბდურახმან-ხანი გარდაიცვალოს, ინგლისს უნდა დაუყოვნებლივ დაიჭიროს თავისის ჯარებით ქაბული და ყანდაარიო.

## კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს მატიანე

(გორი, 29 იანვარს)

საქმე ტატე ჯიოშვილისა, სანდრო ხუბულურისა და ალექსი ხასიშვილისა, რომელთაც ჰბრალდებათ ქურდობა, ძარცვა და კაცების დახოცვა.

(დასასრული იხ. „ივერ.“ № 23)

ჩვეულებრივზედ დღეს უფრო მეტი ხალხი მოაწყდა დარბაზის კარებსა. ყველა გულის ძგერით მოელის საქმის დაწყებასა. აგერ ათის ნახევარი გახდა; შემოიყვანეს ავაზაკნი, ერთად გადაბმულნი ჯაჭვებითა; წინ მიუძღვის ალექსა ხასიშვილი, შემდეგ ტატე ჯიოშვილი, ბოლოს სანდრო ხუბულური, ასე რომ სხდომის დროს ტატე შუაში უზით. დღეს ძალიან ნაგვემი და ნატანჯი სახე აქვთ; ეტყობათ ღამე წვალებით და სულის ტანჯვით გაუტარებიათ. ძნელია, როცა კაცი თვისს სიკვდილს თავისისავე თვალით უცქერის, ითვალისწინებს წყეულს სარჩობელას. ხომ ისეა, როსაც კაცს შიში და რიდი აქვს, სულ ის ელანდება, სულ ის ეხიდება თვალში.—დღეს ყველაზედ ძლიერ ხასიშვილია შეწუხებული, ისედაც უფერული, ეხლა სულ მტვრად ქცეული, მხოლოდ დიდრონი შავი თვალებილა გვიმტკიცებს, რომ ის სულიერი არსებაა; დღეს ზარმაცად, უნდომლად შემოვიდა დარბაზში; ყველაზედ ყოჩაღად და ფხიზლად ხუბულურია, თუმცა ამასაც დღეს ძლიერ ნაკრთომი აქვს სახე; ტატე დინჯად არის, ტუჩს იკვნეტს. საზოგადოებიდგან ავაზაკებს ერთი გადაელაპარაკა: „როგორა ხართ, ბიჭო“?—„ეჰ, შენი ჭირიმე, ვართ რაღა“, უპასუხეს ავაზაკებმა.—„გმადლობთ, შენი ჭირიმე, რაც იქნება, იქნება“, უთხრა მტკიცედ და ღიმილით ხუბულურმა, რომელიც მუდამ ულვაშს იგრეხავს და ამაყად უჭირავს თავი. საზოგადოებაში, უფრო ქალებში სიბრალულის ხმა გაისმის.

— ნეტავი-კი არ დაარჩობდნენ და, ამბობს ერთი ქალი: საზიზღარი საქციელია.

— მაშ ხომ თვალებს არ ამოუკოცნიან იმდენის ავაზაკობისათვის, ეუბნება ქალს თავისი კავალერი.

„მსაჯულნი მოდიან“, გაისმა მდივნის ხმა, ყველანი ფეხზედ ადგნენ და სმენად გადაიქცნენ. საშინელი სიჩუმეა დარბაზში, „ვით მკვდართა ძილი“.

თავმჯდომარე: სიტყვა თქვენ გეკუთვნით, ბ. თანაშემწევ ბრალმდებელისავ.

ბრალმდებელის თანაშემწე. ყველა ის, რაც-კი რამ იყო მოხსენებული საბრალმდებელო ოქმში, რომელიც წაკითხულ იქმნა *) სასამართლოში, სრულიად დაამტკიცა მოწმეების ჩვენებამა. ოქმით ავაზაკებს შვიდი საქმე ჰბრალდებათ: 1) გაძარცვა მღვდლის ედილაშვილისა და მისის დიაკვნის ყიფშიძისა, 2) მოკვლა ტიმოთე ედილაშვილისა ს. ბრეთში; 3) აკლება გიორგი დვალიშვილისა ს. არდისში და იქვე მოკვლა გრიგოლ დვალიშვილისა, 4) მოკვლა და აკლება გადო ბურაშვილისა ს. კაბუსტაში, 5) მოკვლა სოლომანა გუგუტიშვილისა ს. კულბითში, 6) სანდრო შოშიაშვილის გაძარცვა და დაჭრა და 7) სოფ. ხვნეში პოლიციის მოხელეთა წინააღმდეგობის გაწევა, რომელსაც შედეგად მოჰყვა თავ. ყ. ფალავას დაჭრა.—თვით ბრალდებულნი უარს არ ამბობენ ამ საქმეზედ, მხოლოდ ყველა საქმეს ისინი თავისებურად ხსნიან, ასახელებენ ისეთს გარემოებებს, რომელიც მათ მწარე ბედს შეუმცირებს; ზოგს საქმეზედ ამბობენ, რომ ძალათი გამოგვიწვიეს მკვლელობაზედო, მაგალითად, ედილაშვილმა ძალად შემოგვაკლა თავი. ზოგზედ ამბობენ, რომ სრულიად შემთხვევით მოგვიხდაო; დვალიშვილი შემთხვევით შემოგვაკვდაო; გულში სულაც არ გვედო მისი სიკვდილიო, რადგან ჩვენ იმის ხსალს სულაც არ დავცემივართო. პოლიციის მოხელენი ვერ ვიცანით, თორემ წინააღმდეგობას არ გავუწევდითო. ბურაშვილთან სხვებმა მიგვიწვიესო. ყველაფერს ამაში შესამსუბუქებელს საბუთებს ვერა ვხედავ. ყველა შემთხვევაში ეგენი უწყალოდ და მკაცრად იქცეოდნენ, რაინდობად მიაჩნდათ თავიანთი საქმე. ყველა ავაზაკმა და, რასაკვირველია, მაგათაც კარგად იცოდნენ, რომ მაგათ პოლიციის რაზმი დასდევდა დასაჭერად; ყველა მაგათს საქმეს მკვლელობას, დაცემას, აკლებას, ძარცვა-გლეჯას მიზნად ანგარება ჰქონდა, ჰქონდათ წყურვილი ფულისა და სარჩოს შეძენისა და მშვიდობიანს ხალხს გაუსვეს ხელი და ჰხოცავდნენ. ჩემის აზრით, ამისთანა დანაშაულობისათვის უმაღლესი სასჯელი ეკუთვნით კანონის ძალით; მაგრამ რადგან უმაღლესის ბრძანებისამებრ ეს ავაზაკნი მიეცნენ სამხედრო სამართალში, ამიტომ ეგენი სამხედრო კანონის ძალით ღირსნი არიან სიკვდილით დასჯისა. ბ-ნო მსაჯულნო! ჩემი აზრი ეს არის: ავაზაკნი უნდა დასჯილ იქმნან სიკვდილით ჩამოხრჩობითა.—ამ სიტყვის შემდეგ ავაზაკნი შეწუხდნენ, თავები ჩაჰკიდეს, ტატეს ცრემლები წამოუვიდა ღაპა-ღუპითა.

თავსმჯდომარე. სიტყვა თქვენ გეკუთვნით, ბატონო დამცველო.

მცველი არტამონოვი (სამხედრო კაცია). ბრალდებულნი, როგორც თვით აღიარეს და გამოძიებამაც დაგვიმტკიცა, ხომ ყველა იმ საქმეებში რომელიც ბრალდებათ დანაშაულნი არიან. მაგრამ მე, ბატონო მსაჯულნო, თქვენს ყურადღებას მივაქცევ ზოგიერთს შესამსუბუქებელს საბუთებსა და გთხოვთ ეს საბუთები შეიწყნაროთ განაჩენში ჩაიტანოთო, რომ ეთხოვოს მთავარ-მართებელს, რათა სიკვდილით დასჯა შეეცვალოთ სხვა მძიმე სასჯელითა.

პირველი საბუთი ის არის, რომ ავაზაკებმა სრული აღსარება სთქვეს, იოტის ტოლი არა დაუმალავთ-რა, არა დაუფიცნიათ-რა; ყოველთვის სამხედრო სამართალი ყურადღებაში იღებს ხოლმე სრულს აღსარებას ცოდვა-დანაშაულობისას ღ ამ ჟამადაც, რასაკვირველია, შესამსუბუქებელ საბუთად მიიღებთ. მართალია ბევრი უბედურობა მოახდინეს, მაგრამ ისე მკაცრად, შეუბრალებლად არ ექცეოდნენ, როგორც მოწმები უჩვენებენ; მოწმები აზვიადებენ; შოშიაშვილს გამოართვეს თოთხმეტი მანეთი და არა ხუთი თუმანი; ავაზაკები უფრო მართლად აჩვენებენ ყველა იმას, რაც ჩაუდენიათ, ვინემ მოწმები. ესენი გულ-ახდით აღიარებენ ყველა დანაშაულსა. დვალიშვილმა სია წარმოადგინა სასამართლოში, რომ ამდენი და ამდენი ვერცხლეული და აბრეშუმის კაბები და თავსახვევები წაიღესო; გლეხკაცს მაგდენი აბრეშუმის ტანსაცმელი და ვერცხლეული რომ არ ექნებოდა ცხადია. ცხენებს რომართმევდნენ, სამაგიეროს აძლევდნენ და შემდეგ თავისას უბრუნებდნენ, მაგ. დაჰპირდნენ მღვდელს ედილაშვილს ცხენის გამოგზავნას და გამოუგზავნეს კიდეცა. შეიძლება, რომ მაგათ პოლიციის მოხელეები ვერ იცნეს და იმიტომ წინააღმდეგობა გაუწიეს; ვერ იცნეს იმიტომ, რომ პოლიციის კომანდირს განსაკუთრებული ტანისამოსი არ ეცვა, რათა ამით გაერჩიათ და მორიდებოდნენ, ან დანებებიყვნენ. სახეში უნდა მივიღოთ ისიც, თუ რა წრეს ეკუთვნიან ეს ავაზაკები; ეგენი არიან ნაყოფი უმეცრებისა; შავბნელს ცხოვრებაში არიან აღზრდილნი, გარს გაუნათლებლობა და სიბნელე ახვევიათ; ამისთანა უგუნურს, ბნელს წრეში აღზრდილს კაცს ცოტა რამ უნდა მიეტევოს.—ბურაშვილთან ეგენი ძალათ მიიყვანეს სხვებმა; სხვები უფრო სარგებლობდნენ მაგათის ავაზაკობითა, ბევრნი ხელს ითბობდნენ, თვით ხალხი ინახავდა მაგათა და ამითი ხელს უმართავდა მაგათ ავაზაკობაში. ბურაშვილი სწორედ სხვამ ააკლებინა; ამ ბურაშვილის საქმეში ერთი ამათგანი—ალექსა ხასიშვილი სულ არა სჩანს, მოწმები უჩვენებენ სამს კაცსა, მოკლულს ფადოსა, ტატეს და სანდროსა, ხასიშვილზედ ხმას არავინ იღებს, ასე რომ ამ საქმეში იგი უნდა გამართლებულ იქნას; ხასიშვილზედ ესეც უნდა ვსთქვა, რომ მაგისი წარსული ცხოვრება იმ დრომდე, მინამ ამ საქმეში გაებმებოდა, სუფთა და ნათელია, არავითარიმე ბრალი არა სდებია. ეს საბუთიც მაძლევს გაბედულობას ვითხოვო შემსუბუქება ხასიშვილის სასჯელისა. დასასრულ გთხოვთ ბ. მსაჯულნო, გა-

*) ბრალმდებელის თანაშემწის და ვექილის სიტყვების შინაარსი აქ შემოკლებით მოგვყავს.

---

იმის მოსანახავათ არის და თქვენც წამოდით“-ო!. დაახვედრა პატარა ქალმა ამათ ამბავი. ამ ამბავმა თავზარი დასცა დარიას დედასა და ძმას, მეტადრე საწყალს დედას ენა ჩაუვარდა ჯავრით. გამოვიდნენ გარედ, მაგრამ არ იცოდნენ, საით წასულიყვნენ მოსანახავად. ვერც ის გაიგეს, რა ამბავი იყო, რისთვის გაიქცა. ცოტა რომ მოშორდნენ ეზოს, გაიგონეს ქეთევანის ძახილი: „დარია“-ო. საჩქაროდ გასწიეს ქეთევანისკენ და გაიგეს ყოველივე. დარიას დედას აქ სულ სიკვდილისფერი დაედო ჯავრისაგან. პავლია გაიქცა მამასახლისთან. დარიას „გაქცევა“ გაიგეს მეზობლებმაც. ზოგიერთი მათგანი—მათში ერია ფეფიკოც—გამოვიდნენ ქეთევანის მისახმარებლად, დადიოდნენ ვინ იქით, ვინ აქეთ, მაგრამ ვერა გაიგეს-რა. მნახველი კაციც არ ჩანდა.

— ქალი რომ გასუქდება, ძმავ, იი მერე ავი სამწყესავია! ქალაქში წევიდოდა. წეესევიან რომე!.. ამბობდა ერთი მეზობელი.

— შე დალოცვილო, ადამიანია იგიც. მისმა ქმარმა აღარ მეისვენა ავ-კაცობისაგან და აღარც ნაობახიდგან გამოაყოფინეს თავი. ველარ მოითმინა დედაკაცმა და აგია. პასუხობდა მეორე მეზობელი.

— ნამუსიანია, ნამუსიანია, კაცი ვერ მიეკარებაო, დეიჩემებს. ესეც თქვენი მიუკარებელი! თავის სოფელს აღარ დასჯერდა და ვინ ურჯულოებას ჩაუვარდება ახლა ხელში, ვინ იცის! ეუბნებოდა ერთი მეზობლის ქალი მეორეს.

— მეხე-კი დავაყარე მის თავს! თლათ წმინდათ რომ თავს ვერ შეინახვიდა, აგი ვინ არ იცის. მარა ასე გაჭრა გაგონილა! პასუხობდა მეორე ქალი.

— ვერ ჰხედავდით, ბატონო, რა თვალი ჰქონდა! იმ თვალის ქალი არ იქნება პატიოსნების გზას არ გადასცდეს, უმატებდა მესამე.

მზე ჩავიდა და მშვენიერი წყნარი და გრილი სალამო ჩამოდგა წაბლისერის მწვანე არე-მარეში. რამდენიმე ქალი და კაცი, დარიას მძებნელი, დაბრუნებულიყო და სიმონას სახლის წინ ჩოჩქოლებდა. ქეთევანი დაგდებულიყო მიწაზე და მოთქმატირილით იწყევლებოდა და ილანძღებოდა. მარიამს მოეყვანა ჩჩვილი გაბრიელა (სიმონას ვაჟი) და ამბობდა: „იმ უსირცხვილომ ვინცხა ეშმაკს რომ წასდია, აგი ვის დუუტია! მე ჩემისთვის ვერ მომივლია“-ო. ბავშვი საშინლად ჩხაოდა,—ამბობენ მუცელი სტკივაო. მართალია, ქეთევანი ამბობდა: „დავითის ოჯახმა დამღუპა, ტიტიკომ მოგვჭრა თავი, გამიბახა რძალი“-ო, მაგრამ მეზობლები კიდევ იმ აზრისა იყვნენ, რომ დარია ღამის თევაში შეხვდა ვისმე და გაჰყვაო. თუმცაღა მზე ჩავიდა, მაგრამ ჯერ დღის სინათლე საკმაოდ იყო დედა-მიწაზე, რომ სიმონას სახლის უკან, ცოტა მოშორებით გაისმა საშინელი ცივი კივილი. ხალხი გაიქცა ამ კივილზე და ჰნახა, რომ სწორედ იმ ადგილას მდინარეში (ძალიძის ეზოს სიახლოვეს ერთი პატარა მდინარე მოდიოდა), რომელსაც წაბლისერელები „ტპა“-ს უწოდებენ, დარიას დედა ჩამდგარიყო და ჰკიოდა.

—რა ამბავია, რაი! შეჰყვირა ხალხმა.

— აგერ არის, აგერ! მომეხმარეთ, მომეხმარეთ, ჰკიოდა საწყალი დედა და აჩვენებდა ხალხს ხელით ერთს ადგილს, სადაც თუმცაღა წყალი საკმაოდ ღრმა იყო, მაგრამ წმინდა, კაშკაშს წყალში მაინც ჩნდა წყლის ფსკერზედ რაღაც შავი საგანი.

— აი ცახოცი მისია, აქანია ვნახე წყალში! მომეხმარეთ ქრისტიანებო, ეგება ცოცხალი იყოს ჯერ კიდევ. ტირილით აჩვენა დარიას დედამ ხალხს „სახოცი“ რომელიც წყალში ეპოვნა.

ხალხმა თვალის დახამხამებამდე გამოსჭრა გრძელი კავი, ერთი მოწიფული ბიჭი შევიდა ყელამდე წყალში, მოსდო კავი და გმოიტანა წყლის ფსკერიდან ნაპირზე ბნელი საგანი—ეს იყო დარიას გვამი. თუმცაღა ხალხი ბევრს ეცადა, ხან თავ-დაღმა დაჰკიდა, ხან ფეხის გულში სცემა, ხან მდინარის პირში არბენინა—დამრჩვალის სული ჯერ კიდევ აქ იქნება და ეგება მოვიძიოთო, მაგრამ დარია არ გაცოცხლდა.

ამასობაში მოვიდა მამასახლისიც. ქეთევანმა და დარიას მშობლებმა განცხადება მისცეს—ტიტიკო დროიძემ გააუპატიურა და თავი იმიტომ დაირჩოო. მაგრამ მამასახლისი, როგორც ეს ერთს დროს სიმონამ სთქვა, დავით დროიძეს ხელში ჰყავდა: არა თუ არ მიიღო ქეთევანის განცხადება, პირიქით მათრახით კინაღამ არ სცემა საწყალს ქეთევანს:—„შენ, შენი ვეშაპობით თავი მოაძულე, დაარჩვე და ახლა გინდა პატიოსანს ოჯახს ჩირქი მოსცხო“-ო. იმ ღამეს მამასახლისი დავით დროიძისას დარჩა. მოგეხსენებათ, ამას შემდეგ როგორც წაიყვანდა საქმეს:—„აიხსნა მეზობლების გამოკითხვით, რომ ოჯახის ვარამმა და ცუდმა მდგომარეობამ ქალი ჭკუიდან შეშალა და წყალში თავი დაირჩო“-ო, იყო დარიას შესახებ მოხსენებული მამასახლისის „პროტოკოლში“.

ე. ნინოშვილი

(შემდეგი იქნება)

ნაჩენის დადგინების დროს ყველა ჩემგან წარმოდგენილი საბუთი მიიღოთ მხედველობაში და უშუამდგომლოთ ბ. მთავარ-მართებელთან, რათა სიკვდილით დასჯა შეუცვალოს სხვა სასტიკს სასჯელზე.

ამ სიტყვის შემდეგ თავმჯდომარემ ხუთის წუთით სხდომა შეაჩერა.

როდესაც გამოვიდნენ, თავსმჯდომარემ ავაზაკებს მისცა ნება ლაპარაკისა. დანაშაულზედ თავი დასდეს, ითხოვეს, რაც გსურთ, ის სასჯელი მოგვეცით, მხოლოდ სიცოცხლე მოგვახიჭეთო.

ორის ნახევარზედ გამოიტანეს განაჩენი, რომელიც უკვე დეპეშით გაცნობეთ. როდესაც თავსმჯდომარემ დაამთავრა განაჩენი ამ სიტყვებით: უნდა სამნივე ჩამოხრჩობილ იქმნენო, ხალხში ერთხმად გაისმა: „უჰ!“ და რამდენიმე წუთი ხალხი არ განძრეულა. ქალები, თითქმის ყველანი, თვალ-ცრემლიანი გამოვიდნენ. თავსმჯდომარე მიუბრუნდა ბრალდებულების და ჰკითხა: ხომ აღარა გაქვთ-რა სათქმელიო, მაგრამ იმათ სიტყვა ტუჩებზედ შეახმათ.

## წვრილი ამბავი

ახლახან ბელგიაში დიდი თოვლი დასდო. ამ ამბავმა ბრიუსელის ბურგომისტრს შემდეგი მოასაზრებინა. მოიწვია გამოჩენილი ბელგიელი მოქანდაკეები და სთხოვა, აი თოვლი ბევრია და სხვა-და-სხვა ქანდაკები-სურათები გააკეთეთო. მოქანდაკენი დასთანხმდნენ. გააკეთეს ათას გვარი სურათი და თითქმის მთელი გამოფენა გამართეს. ვინც ამ გამოფენის სანახავად მიდიოდა, კაცის თავზე ოცს სანტიმს (ერთი შაური) ართმევდნენ საქველმოქმედო საგნისთვის. ხალხსა რა კითხვა უნდა, მრავალი მიაწყდა ამ უცნაურს გამოფენასას და ფულიც ბევრი შეიკრიბა საქველმოქმედოდ.

— ქალაქს ნიუ-იორკში იბეჭდება ერთი სპირიტული გაზეთი, სახელად „ზეცის ქალაქი“. სათაურს შემდეგ ამ გაზეთს შემდეგი აწერია: „ჩვენი გაზეთი ერთად-ერთი სპირიტული გაზეთია, რომელსაც საიქიოდგან მოსდის დეპეშებიო. მართლაც ამ გაზეთში მრავალი დიდი და პატარა წერილი იბეჭდება, რომელსაც ქვეშ აწერია სხვა-და-სხვა გარდაცვალებულ კაცთა სახელები: შექსპირი, გეტე, ვაშინგტონი, მილტონი, „კაცი ჭომიროსად წოდებული“; დეპეშებს ქვეშ მოწერილია სახელები: გრანტისა, სოკრატისა, ბონაპარტისა, შოპენ-ჰაუერისა, ფრიდრიხ დიდისა, დარვინისა და ბუდდასი. შექსპირი ვრცელს წერილს სწერს ამ გაზეთში და აღიარებს, რომ ტრაგედია „ტიტე ანდრონიკი“ ჩემი თხზულება-კი არ არის, არამედ კიდაც ლორენსისა; იმან ხელ-ნაწერი ტრაგედია მე მომიტანა, მე ახალგაზდობის თავმოყვარეობამ წამძლია და ჩემის სახელით გამოვაქვეყნეო. „ზეცის ქალაქის“ რედაქციაში ტელეგრაფია გაყვანილი სახლის ბანისკენ და მავთულების ბოლოზე თითია გაკეთებული, რომელიც ზეცისკენაა აშვერილი.

— ამერიკაში ერთი სარწმუნოებრივი საზოგადოება, ეკკლესიაა, რომლის მიმდევართაც მარმონები ეწოდება. მარმონებს მრავალ-ცოლობა კანონად ჰქონდათ მიღებული. ამ საგნის შესახებ ერთს ამერიკულს გაზეთში შემდეგი წერილია დაბეჭდილი მარმონთა მსაჯულთ უფროსის ზაინისა: „დაარსდა თუ არა მარმონთა ეკკლესია, მისმა დამფუძნებელმა იოსებ სმიტმა განაცხადა, ღმერთმა მამცნო და მიბრძანა, მრავალ ცოლობა შემოიღეთო. მაგრამ საზოგადოების ზნეობრივი გრძნობა არ ეთანხმებოდა-კი ამ აზრსა. 1882 წელს კანონით აღიკრძალა მრავალ-ცოლობა. 1887 სასჯელიც-კი დააწესეს მრავალ-ცოლიანებისთვის და 300 კაცი ციხეში ჩასვეს. ამას შემდეგ მარმონთა ეკკლესიის პრეზიდენტმა ვილფორდ ვუდრუფმა მანიფესტი გამოსცა: „ჩვენ მრავალ-ცოლობას არ ვასწავლით და არც ნებას ვაძლევთ იმასაო... ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენის ეკკლესიის წევრთ მოიშალონ მრავალ-ცოლობა და სხვ.“ ზაინის სიტყვით, მარმონები ძლიერ მუშა-ხალხნი არიან და ეს მანიფესტი ძლიერ ნაყოფიერს გავლენას იქონიებს მასზეო.

## წერილი რედაქციის მიმართ

მადლობას ვუძღვნით იმათ, რომელთაც კიდევ შემოსწირეს სტეფანწმინდის მომავალის სკოლის სასარგებლოდ თავისი წვლილი. აი მათი სია: პავლე ღუდუშაური 10 მ. ქისტი ზანგი 1 მ., 5 კ. ი. ივანეს ძე ლისენკო 1 მ., 20 კ., ნ. თ—ს ძე სუმენოვი 1 მ., მიხეილ თოკიკოვ 40 კ., გრიგოლ ქეფხოძე 60 კ., პავლე ქირიკაშვილი 80 კ., იოსებ ღუდუშაური 45 კ., სვიმონ ხაიკოვ 1 მ., მაქსიმ ქევრხოევ 20 კ., ნიკოლოზ გ. მეხეთაგური 50 კ., დათიკო გიგაური 20 კ., გიგო ცოფუროვ 50 კ., სოლომონ ხუთაგური 80 კ., იაგორ ღუდუშაურმა *) შესწირა 30 მ.,

ი. გ. ძე ღუდუშაური

*) არ იქნებოდა ურიგო, რომ ამ წერილის მომწერი შეგვატყობინებდეს, რამდენია დღეს სულ შემდგარი სოფ. სტეფან-წმინდაში სკოლის დასაარსებლად შეწირული ფული.

რედ.

## დეპეშა

30 იანვარი

**პარიჟი.** „Temps“-ი იუწყება, საფრანგეთმა და რუსეთმა გადასწყვიტეს, რომ ერთსა და იმავე დროს გაჰგზავნონ ზღვის რაზმები ლევანტის წყლეებისკენაო. საფრანგეთის რაზმი გაემგზავრება პოტსდამიდამ პირეის არხიპელაგში, სადაც რამდენსამე ხანს დაიცდის. რუსეთის რაზმიც წამოსული ალექსანდრიიდგან უთუოდ პირეიაშივე შეეყრება საფრანგეთის რაზმს.

**ლონდონი.** ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები დიდს ღონისძიებასა ხმარობენ, რომ შემწეობა აღმოუჩინონ დამშეულს რუსებს. ფილადელფიაში შემდგარი კომიტეტი შეწირულებათა შესაკრებად მალე გაჰგზავნის ლიბავაში გემით სურსათს. შტატს მინეზოტში წისქვილების პატრონებმა 2000 ტონი ფქვილი შესწირეს და მარტში რუსეთში გაგზივნიან. ნიუ-იორკის კომიტეტმა გამოუგზავნა ჩრდილო-ამერიკელს ელჩს პეტერბურგში პირველი ნაწილი შეწირულებათა 10,000 დოლარი. ფილადელფიის კომიტეტს აქამდე 9000 დოლარი ჰქონდა შეკრებილი.

31 იანვარი

**პეტერბურგი.** „Новое Время“ იუწყება, რომ დაბრუნებულ კაბატას მონაწილეობით შესდგება განსაკუთრებული კომისია ერობათა და სხვათა დაწესებულებათა წარმომადგენელთაგან, რომ ის პური იყიდონ, რომელიც ადგილობრივ საჭიროების დაკმაყოფილების შემდეგ, ერობებში დარჩენილაო.

იგივე გაზეთი იუწყება, რომ პეტერბურგში მყოფი ორი ფულიანი ფრანგი, საფრანგეთის სენატორ დევეს ჩამოსვლისათანავე, შუამდგომლობას დაიწყებენ ციმბირის რკინის გზის კონცესიის შესახებაო.

პეტერბურგის ბირჟა, 28 იანვარი

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 8, 10 | 8, 13 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 162 1/4 | 162 3/4 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 17 | 1, 19 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 236 1/2 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 226 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 198 | — ,, | 199 1/2 |
| კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%. . . . . . | 102 1/4 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102 1/4 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 3/4 | — ,, | — ,, |


## განცხადებანი

წერა-კითხვის სამმართველოში და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება

**ვაი მართალთა!**

მოთხრობა ანტ. ფურცელაძისა, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, ფასი 30 კაპ.

КРАСКА для ВОЛОСЪ В. ГЕНА въ ВѢНѢ изъ ГРЕЦКИХЪ ОРѢХОВЪ.



ОХРАНИТЕЛЬНАЯ МАРКА.

БЕЗВРЕДНОЕ СРЕДСТВО ДЛЯ БЫСТРАГО ОКРАШИВАНІЯ ВОЛОСЪ и БОРОДЫ въ ЧЕРНЫЙ РУСЫЙ, ТЕМНО- и СВѢТЛО-КАШТАНОВЫЙ ЦВѢТЪ.

ЦѢНА ЗА ФЛАКОНЪ съ ПЕРЕСЫЛКОЙ 3 Р. ГЛАВН. СКЛАДЪ ДЛЯ РОССІИ В. АУРИХЪ въ С. ПЕТЕРБУРГѢ КОЛОКОЛЬНАЯ 18.

(10—4)

### ქ. ოზურგეთში

ესმა გიორგის ასული ქიქოძე, რომელსაც ტფილისის სახელოსნო გამგეობისაგან თავის ხელობის რიგიანად ცოდნის შესახებ ატესტატი აქვს, მსურველთ ასწავლის ჭრა-კერვასა და ყოველსავე ხელობას, რაც-კი ქალის ტანისამოსის შეკერვას შეეხება. შეგირდებს იღებს სამის თთვის ვადით იმ პირობით, რომ ზემოთქმული ხელობა ამ ხნის განმავლობაში სრულიად დაასწავლოს. სასყიდლად სამისავე თთვისათვის მხოლოდ ოცს მანეთს სჯერდება.

ამასთანავე შესაძლოა ქალის ტანისამოსის შესაკერავად მასვე მიჰმართონ. ყოველსავე შეკვეთას ზომიერ ფასად და დროზე ასრულებს. (6—3)

### ახალი სტამბა

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში, იქ, სადაც „ივერიის“ რედაქცია იმყოფება, გაიმართა სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

ყოველ გვარს სასტამბო საქმეს ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

### „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.



### ნამდვილი ზეთის საპონი მქ. ლენბილიასი ვენაში

ისყიდება ყოველს სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში.

(20—5)



Дозв. ценз. Тифлисъ, 31-го Января 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.